

**გვერდი – „ღამატებით ღვთისმსახურთათვის“ მიჰყავს
ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორს, პროფესორს, ბელატიის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს
დეკანოზ ბიძინა ბუნიას**

- ა) ინფორმაცია ლიტურგიკულ საკითხებზე შეგიძლიათ მოიძიოთ საპატრიარქოს განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე – „ცნობარი მედავითნეებისთვის“ <http://venakhi.ge/medavitne.html>
- ბ) კითხვები თქვენთვის საინტერესო ლიტურგიკულ საკითხებზე გამოგზავნეთ ელ-ფოსტაზე: davati@venakhi.ge ან svetitskhoveli@gmail.com
- გ) ინფორმაცია და პასუხები გარდა ზემოაღნიშნული ვებ-გვერდისა, იხილეთ აგრეთვე „ფეისბუქ-ზე“ - მამა ბიძინა ბუნია.

შენიშვნა: იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ –
№36 (695) 31.10-6.11.2013წ. გვ. 4 და №37 (696) 7-13-11.2013წ. გვ. 5.

**ეკქარისტიული კანონის – ანაფორის სტრუქტურა
წმ. იოანე ოქროპირისა და წმ. გასილი დიდის ლიტურგიებში:**

სიტყვა **ეკქარისტია** ბერძნულად „მადლობას“, „სამადლობელს“ ნიშნავს. ეკქარისტია არის საიდუმლო, რომლის მღვდელმოქმედებისას მორწმუნე ქრისტიანი პურისა და ღვინის სახით, ქრისტეს წმიდა ხორცსა და სისხლს ეზიარება.

ეკქარისტიის საიდუმლოში მონაწილეობით, უფალთან გაერთიანების მეშვეობით, მორწმუნე ადამიანს ბანდეროების მადლი ენიჭება. ეს საიდუმლო ბანდეროების ამსოფლად ხელმისაწვდომი ზღვარია, რისი მეშვეობითაც ადამიანი ადამიანობიდან (მადლისმიერად) ღმერთად გადაქცევის ღირსი ხდება.

წმიდა ეკლესია (უპირველეს ყოვლისა) ეკქარისტიის საიდუმლოში შეიცნობს თავს ქრისტეს ერთიან და მთლიან სხეულად. ეკქარისტიული ბუნების წინდი, მისი საყოველთაო ერთობის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ზიარებისას ჩვენ მთელი სისრულით (რამდენადაც ეს შესაძლებელია), საკვირველად მოგვეცემა ქრისტეს სხეული. ამდენად, ეკქარისტიის საიდუმლოს მეშვეობით, ქრისტე მაზიარებლებს ერთ სხეულად აქცევს, როგორც თავად მასთან, ისე ერთმანეთთან მიმართებაში.

ქრისტიანული ცხოვრების უმაღლესი მიზანი ღმრთისადმი მადლიერების გამოხატვა, სამადლობელი საიდუმლოს ღმრთისმსახურება, ქრისტეს ჭეშმარიტ ხორცთან და სისხლთან ზიარება გახლავთ, რასაც ჩვენი სულის განწმენდილი შინაგანი მდგომარეობა და საღმრთო სიყვარულით აღვსილი გული სჭირდება. იმ მსახურებას რომლის დროსაც ზიარების საიდუმლო აღესრულება, საღმრთო ლიტურგია ეწოდება.

ადამიანთათვის, რომელთაც მტკიცედ გადაწყვიტეს შეუდგნენ იესო ქრისტეს მაცხოვრებელ გზას, ყოველი წირვა აღიქმება კიდევ როგორც ღვთის მადლის განმბახლებელი მოქმედება. სულიერი ცხოვრების ახალი განცდა, მათი იღუმალი შეერთება ღმერთთან – განდმრთობა.

წმიდა ძღვენის კურთხევა საღმრთო ლიტურგიის უმთავრესი ნაწილის – ეკქარისტიული კანონის მღვდელმოქმედებისას აღესრულება, და რადგან ძღვენის კურთხევა და ზიარება ეკქარისტიის, ზიარების ერთიანი საიდუმლოა, მას ორი სახელიც აქვს – ეკქარისტია და ზიარება.

ამგვარად, საღმრთო ლიტურგია მართლმადიდებლური ღმრთისმსახურების უმთავრესი და ცენტრალური ნაწილია, ხოლო საღვდამისო ციკლის ყველა სხვა მსახურება კი საღმრთო ლიტურგიის წინა-მოსამზადებელ მსახურებას წარმოადგენს, რათა თითოეული მორწმუნე ამაღლებული გონებით, ღვთისგამომეძიებელი ნებით და განწმენდილი გულით თანაეზიაროს უფალს.

არაერთი ლიტურჯის მითითებით ექპარისტული კანონი იწყება ლოც-
ვით: – „გმადლობეთ უფალსა“ (2, 429; 3, ტ. I, 265; 3, ტ. IV, 721; 5, 283; 6, 212; 7, 177-178; 8,
63; 9, 213).

ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, ექპარისტული კანონი პირობითად ექვს
ნაწილად იყოფა (3, ტ. IV, 721; 9, 214 და სხვა):

1. **ეპქარისტია** („გმადლობეთ უფალსა...“ - „ოსანა მადალთა შინა...“ 10.164-166);
2. **ანამენია** („შემდგომად ამათ სანატრელთა...“ - „ჰსუთ ამისგან ყოველთა...“ 10.166-168);
3. **ბახსენება** („მომხსენებელნი უკუე...“ - „შენ გიგალობთ...“ 10.168-169);
4. **ეპიკლეზა** („მერმეცა შევსწირავთ...“ - „შესცვალე სულითა შენითა...“ 10.169-171);
5. **სამადლობელი** („მომხსენე მე წმიდაო მეუფეო...“ - „მოხსენე, უფალო, ქალაქი...“
- 10.171-177);
6. **დამამთავრებელი ნაწილი** („და მომეც მე უფალო ერთითა პირითა...“ - „და სუ-
ლისაცა შენისათანა“ 10.176-177).

შენიშვნა: ექპარისტული კანონის – ანაწორის უმთავრესი ნაწილი **ეპიკ-
ლეზა** გახლავთ.

ეპქარისტის საიდუმლოს აღსრულებისას საჭიროა ვიცოდეთ, რომ:

1. ამ საიდუმლოს აღსრულება სხვას არავის ძალუძს, თუ არა სჯულიერად დად-
გენილ მღვდელმსახურს (ეპისკოპოსს ან მღვდელს);
2. მღვდელმსახურმა წინდაწინ უნდა გაითვალისწინოს, რომ იქ სადაც განზრახ-
ხული აქვს მღვდელმოქმედება (წირვის დაყენება), აუცილებლად უნდა იყოს სამ-
სხვერპლო (წმ. ტრაპეზი), ანდა უკიდურეს შემთხვევაში მღვდელმთავრის მიერ
ნაკურთხი **ოღიპი**, ურომლისოდაც არავითარ შემთხვევაში არ ეგება უსისხლო
მსხვერპლშეწირვის აღსრულება;
3. შესაწირი ძღვენი უნდა იყოს შესაფერისი, ანუ **პური** (სემოსკპური) **აფუებული**
ხორბლის ფქვილისგან გამოცხობილი, წმინდა, რამდენადაც ეს შესაძლებელია,
და **წითელი ღვინო**, ყურძნის სუფთა წვენი, შეურევნელი სხვა რომელიმე
სითხესთან;
4. არავის, არც მღვდელმსახურს და არც ერისკაცს უფლება არა აქვს ერთსა და
იმავე დღეს **ორჯერ ეზიაროს** (3. ტ. IV, 289);
5. მღვდელს რომელიც არ მსახურობს წირვაზე, არ შეუძლია წმიდა ზიარება მი-
აღებინოს მაზიარებლებს, გარდა განსაკუთრებული დაჭირვებისა და ისიც სა-
თანადო მომზადების შემდეგ (3. ტ. IV, 289);
6. დიაკონს უფლება არა აქვს მრევლი აზიაროს, თუნდაც მღვდელი შეუძლოდ
შეიქნას ან ფრიად დაიდალოს (3. ტ. IV, 289);
7. VI მსოფლიო კრების 58-ე კანონის თანახმად „*ნუმცა ვინ ერისკაცთაგანი აზი-
არებს თავსა თვისსა საღმრთოთა საიდუმლოთა...*“ (4. ტ. II, 1129);
8. **მოზარდები 6 წლის** ჩათვლით, (ერისკაცთათვის განკუთვნილი) ზიარებისწინა მომ-
ზადების გარეშე ეზიარებიან. ამასთან, მცირე ასაკის ბავშვები (2-3 წლის) მხო-
ლოდ წმიდა სისხლით ეზიარებიან, რაც არის კიდევ მიზეზი იმისა, რომ პირ-
ველშეწირულზე მათ არ აზიარებენ (იხ. ქვემოთ) (3. ტ. IV, 289; 4. ტ. II, 1129);
9. ერისკაცის მიერ მონათლული ჩვილი, მხოლოდ მას შემდეგ ეზიარება, როცა
მღვდელი სრულად აღასრულებს მის ნათლობას (3. ტ. IV, 289);
10. ზიარებისას, მცირე ასაკის ბავშვმა დაუბრკოლებლად რომ შეძლოს წმიდა
ნაწილების მიღება, იგი მშობლის მარჯვენა ხელზე გადაწვენილი, პირისახით
ზევით უნდა მიიყვანონ ბარძიმთან (3. ტ. IV, 289);
11. **7 წლამდე ასაკის ბავშვების** ზიარება სახლში არ შეიძლება, რადგან ამ შემ-
თხვევაში ზიარება ავადმყოფთათვის განკუთვნილი წმიდა ნაწილებით უნდა
აღსრულოს, რაც მიუღებელია ხსენებული ასაკის ბავშვებისათვის (3. ტ. IV, 289).
12. თუ ტაძარში უამრავი ხალხი მოვიდა და მაზიარებელთათვის არ დარჩა წმი-

და ნაწილები, შესაძლებელია, ავადმყოფთა საზიარებლად დამზადებული წმიდა ნაწილები ჩაეუშვათ ბარძიმში და იმით ვაზიაროთ დარჩენილი მრევლი (1, 88).

ს ე მ ო ნ ა რ ი დ ე ბ ი

წმ. იოანე ღამასკელის მართლმადიდებლური სარწმუნოების ზაღმიწივენიტი ბაღმოცემიდან (თბილისის საულიერო აკადემია, ე. ჭელიძე, თბილისი – 2000წ.)

„უფლის წმიდა და უბიწო საიდუმლოთა შესახებ“

- „წმიდა და დიდებული სიონის ზედა სართულში თავის მოწაფეებთან ერთად ჭამს იგი ძველ პასექს და სრულყოფს რა ძველ აღთქმას, ჰბანს მოწაფეებს ფეხებს, რითაც წმიდა ნათლილების სიმბოლოს გვაძლევს. შემდეგ განტეხა მან პური, მისცა მათ და თქვა: „*აიღეთ, ჭამეთ, ეს არის ჩემი სხეული, თქვენთვის განტეხილი ცოდვათა მისატევებლად*“ (მთ. 26. 27-28). მსგავსადვე აიღო მან სასმელი ღვინისგან და წყლისგან, წილად უბოძა მათ და თქვა: „*სვით ამისგან ყველამ. ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, თქვენთვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად. ეს აკეთეთ ჩემს გასახსენებლად, რადგან რამდენჯერც შეჭამთ ამ პურს და შესვამთ ამ სასმელს, ადამიანის ძის სიკვდილი აუწყეთ და მისი აღდგომა აღიარეთ, ვიდრე მოვა* (მთ. 26. 27-28, I კორ. 11. 25-26)“ (გგ. 434 ზ. 18-28);
- „რადგან ისევე როგორც სულიწმინდის მოქმედებით ქმნა ღმერთმა ყოველივე, რაც ქმნა, ასევე ახლაც სულიწმინდის მოქმედება იქმნა იმას, რაც ზებუნებრივია და რისი დატევაც არაფერს ძალუძს, თუ არა მხოლოდ რწმენას“ (გგ. 434 ქგ. 2-5);
- „სულიწმინდა ზე გადმოდის და აღასრულებს ამას, რაც აღემატება სიტყვასა და აზრს. პური და ღვინო იმიტომ შემოიღება, რომ იცის ღმერთმა ადამიანის უძლურება, რომელიც ხშირად ზურგს აქცევს და შემოსწყრება ხოლმე მას, რაც ჩვეულებაში არ აქვს გამჭდარი. ამიტომ, იხენს რა უფალი ჩვეულ ქვემდაბლობას, ბუნებისათვის ჩვეულთა მიერ აღასრულებს ზებუნებრივთ, და ისევე როგორც ნათლილებასთან დაკავშირებით, სადაც ზეთთან და წყალთან თანაშეაუღლა მან სულის მადლი და აქცია იგი ახალშობილის ემბაზად, ადამიანთა ჩვევაა წყლით დაბანა და ზეთით ცხება, ასევე ამჯერადაც, რადგან ადამიანთა ჩვევაა პურის ჭამა და წყლისა და ღვინის სმა, თანაშეაუღლა მან მათთან თავისი ღმერთება და შექმნა ისინი თავის სხეულად და სისხლად, რომ *ჩვეულთა და ბუნებრივთა გზით ზებუნებრივთა შიგნით შევსულიყავით*“ (გგ. 435 ზ. 5-16);
- „სხეულია იგი, ჭეშმარიტად შეერთებული ღმერთებასთან, სხეული – წმინდა ქალწულისგან, თუმცა არა იმიტომ, რომ თვით ამადლებული სხეული ჩამოდის ციდან, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ეს პური და ღვინო *გარდაიქმნება ღვთის სხეულად და სისხლად*“ (გგ. 435 ზ. 16-20);
- „არც იმის თქმაა უჯერო, რომ როგორც ბუნებითად ხდება ჭამის გზით პურის, შესმის გზით კი ღვინისა და წყლის შეცვლა მჭამელისა და შემსმელის სხეულად და სისხლად და არ იქცევა იგი სხვა სხეულად, განსხვავებულად მისი პირველი სხეულისაგან, ამგვარადვე წინადაგების პური, ღვინო და წყალი სულიწმინდის გარდამოწვევისა და გადმოსვლის გზით ზებუნებრივად გარდაიქმნება ქრისტეს სხეულად და სისხლად, და არ არიან ორნი, არამედ – ერთიდაიგივე“ (გგ. 435 ქგ. 21-15);
- „რაც რწმენით და ღირსად წილმიმღებთათვის აღსრულდება ცოდვათა მისატევებლად, საუკუნო სიცოცხლედ და სულისა და სხეულის დასაცავად, ხოლო ურწმუნოებით და უღირსად წილმქონეთათვის – სატანჯველად და სასჯელად, ისევე როგორც უფლის სიკვდილი მორწმუნეებს სიცოცხლედ და უხრწნელებად ექცათ (რათა ილხენდნენ ისინი საუკუნო ნეტარებაში), ხოლო ურწმუნოებს და უფლის მკვლელებს – საუკუნო სატანჯველად და სასჯელად“ (გგ. 435 ქგ. 15-9);

- „ეს პური და ღვინო არ არის სახე ქრისტეს სხეულისა და სისხლისა (ნუ მოხდება ეს!), არამედ – თვით განდმრთობილი სხეული უფლისა, თქმულია რა თავად უფლის მიერ: „ეს არის ჩემი სხეული“ და არა – სახე სხეულისა. ასევე, ითქვა „სისხლი“ და არა – სახე სისხლისა“ (გვ. 435 ქვ. 8-5);
- „მივეახლოთ მას მგზნებარე მოსწრაფებით, ჯვრისსახოვნად გამოვსახოთ ხელისუფლები და მივიღოთ ჯვარცმულის სხეული, შემდეგ კი ზედ დავადლოთ თვალები, ბაგეები და შუბლი და მივიღოთ წილი საღვთო ნაკვერცხლისა, რომ ჩვენში არსებული მოსწრაფების ცეცხლმა ნაკვერცხლისეული ცეცხლოვანება შეითვისოს, დაწვას ჩვენი ცოდვები და გაანათლოს ჩვენი სულები, რათა საღვთო ცეცხლის თანაშეარსებით ავინთოთ და განვიღმრთოთ“ (გვ. 436 ზ. 3-9);
- „ზიარების პურიც ლიტონი პური როდია, არამედ – ღმრთეებასთან შეერთებული, ხოლო – ღმრთეებასთან შეერთებული სხეული არ არის ერთი ბუნება, არამედ ერთია [ბუნება] სხეულისა, ხოლო მეორე – მასთან შეერთებული ღმრთეებისა. ამიტომ, ეს ორივე არის არა ერთი ბუნება, არამედ ორი“ (გვ. 436 ზ. 9-15);
- „ქრისტეს სხეული და სისხლი, რაც მიმართულია ჩვენეული სულისა და სხეულის შემყარებისაკენ, არც შემცირებადია, არც განხრწნადი, არცთუ განთხევინებად მიმართული, არამედ – ჩვენი არსებისა და დაცულობისაკენ, არის რა იგი ყოველგვარი ზიანის ამრიდებელი და განმწმენდი ყველა ბიწისაგან“ (გვ. 436 ქვ.11-8);
- „წილმიმღებლობად ითქმის იგი, რადგან მის მიერ იესოს ღმრთეების წილმიმღებნი ვხვდებით, ზიარებად კი ითქმის და არის კიდევ ჭეშმარიტად, რადგან ერთი მხრივ, მის მიერ ქრისტეს ვეზიარებით ჩვენ და წილმქონე ვხვდებით მისი ხორცისა და ღმრთეებისა, მეორე მხრივ კი, მის მიერვე ვეზიარებით და ვუერთდებით ურთიეთსაც, რადგან, ვართ რა ერთი პურის წილმიმღებნი, ყველანი ქრისტეს ერთი სხეული, ერთი სისხლი და ურთიერთის ასოები ვხვდებით, ქრისტეს თანამესხეულეებად წარმოჩენილნი“ (გვ. 437 ზ. 16-22);
- „სამერმისოთა ნაცვალსახეებად ითქმის (პური და ღვინო), არა იმიტომ, რომ არ არიან ჭეშმარიტად სხეული და სისხლი ქრისტესი, არამედ იმიტომ, რომ ამაჟამად მათ მიერ ვართ წილმქონე ქრისტეს ღმრთეებისა, ხოლო მაშინ – გონისეულად, მარტოდენ ჭვრეტის მიერ“ (გვ. 437 ქვ.1-4).

დამოწმებული ლიტერატურა:

01. Сильченков Н. – Практическое руководство при совершении приходских треб (Киев: 2001г.);
02. Протоиерей К. Никольский – Учебный устав Богослужения (Санкт-Петербург: 1995г.);
03. Настольная книга священнослужителя, т. I и т. IV (Москва: 1977-1983г.);
04. С.В. Булгаков – Настольная книга священно-церковно-служителя, т. I и т. II (Москва: 1993г.);
05. Архиепископ Аверкий – ЛИТУРГИКА , 2000г.;
06. Новая скрижаль (Санкт-Петербург: 1998г.);
07. Богослужебные указания на 2013 год;
08. Епископ Виссарион (НЕЧАЕВ) – Толкование на Божественную литургию, Киев – 2001г. ;
09. Николай Кавасила архиепископ фессалонийский – изъяснение Божественной литургий, Киев - 1999г. ;
10. И. Дмитриевский – Историческое, догматическое и таинственное изъяснение Божественной литургий, Москва – 2009г.;